საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

14 აპრილი 2025 წ.

KA000022235115925

№ 25/2960

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

სისხლის სამართლის N009071224003 საქმეზე [redacted] მიმართ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვასილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ბრალდებულ [redacted] ადვოკატის, [redacted] მიერ წარმოდგენილი სისხლის სამართლის N009071224003 საქმის მასალები, რომელსაც მოცემულ ეტაპზე, განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ [redacted] ბრალდებულია ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის. გამოძიების მიერ წარდგენილი ბრალდება ეყრდნობა მხოლოდ დამკავებელი პოლიციელის ჩვენებასა და პოლიციელების მიერ ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმს.

სამწუხაროდ, კვლავ გამოიკვეთა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა, რომლის შედეგადაც, მოქალაქეები კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების გარეშე რჩებიან. კერძოდ, პირადი ჩხრეკა ჩატარდა ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნისა და მისი მოპოვების მცდელობის გარეშე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის პასუხისგებაში მიცემისათვის და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც მსგავს შემთხვევებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, ადამიანის უფლებათა

დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვის კუთხით. შესაბამისად, ვიყენებ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას და მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ თევდორე აბრამოვის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე.

მოცემული წერილობითი მოსაზრების მიზანია არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ, სასამართლოს დახმარება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტით და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი.

ბრალდება

2024 წლის 7 დეკემბერს დააკავეს [redacted]. ამავე წლის 9 დეკემბერს მას წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ექსპერტიზები

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს 2024 წლის 8 დეკემბრის ექსპერტის დასკვნის მიხედვით, ლურჯ საიზოლაციო წებოვან ლენტში გახვეული მოყვითალო ფერის, კრისტალური ნივთიერება გრანულის სახით, წონით 5.88 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება მდმა-ს (3.4 - მეთილენდიოქსიმეტამფეტამინი), რაოდენობით 4.41548 გრამი.

2024 წლის 11 დეკემბერს გამომძიებლის დადგენილებით დაინიშნა ბიოლოგიური ექსპერტიზა და გადაიგზავნა [redacted] ამოღებული ნერწყვის ნიმუში. ადვოკატის გადმოცემით, ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ამ ეტაპზე მიღებული არ არის.[1] ამასთან, დაცვის მხარის 2025 წლის 8 იანვრის განცხადებითაც დაინიშნა ბიოლოგიური ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც ასევე არ არის მიღებული.

ასევე, დაცვის მხარემ ამოღებულ ნივთზე დანიშნა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, ხოლო ექსპერტის 2025 წლის 13 მარტის N001575025 დასკვნის თანახმად, „ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ საიზოლაციო ლენტზე და მასზე მიკრულ ქაღალდის ფრაგმენტებზე ხელის კვლები დვრილოვანი ხაზების სახით არ გამოვლინდა“.

დაცვის მხარის ინიციატივით, დაინიშნა ნარკოლოგიური (ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური) ექსპერტიზაც. ხოლო ექსპერტის 2025 წლის 18 თებერვლის N 001035425 დასკვნის მიხედვით, ქიმიურ ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ [redacted] თმის ნიმუშში არ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები - ამფეტამინი, მეტამფეტამინი, მდმა, ბუპრენორფინი, მეთადონი, კოკაინი, ტეტრაჰიდროკანაბინოლი, ოპიატები, ალფა - პვპ.

ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია [redacted] ინტერესების დამცველი ადვოკატის განცხადება და სისხლის სამართლის საქმის მასალები.

საქმის მასალების მიხედვით, გამოძიება დაიწყო შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ნარკოტიკული საშუალებებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს დეტექტივის, [redacted] 2024 წლის 7 დეკემბრის პატაკის საფუძველზე.

[redacted] 2024 წლის 7 დეკემბრის პატაკის თანახმად, მიღებული იქნა ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმად, [redacted] ეწევა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას და იგი უნდა იძყოფებოდეს თბილისში, პეტრინის ქუჩაზე.

[redacted] გამოიკითხა 2024 წლის 7 დეკემბერს (20:32 სთ-20:45 სთ). იგი ადასტურებდა ოპერატიული ინფორმაციის მიღებას კონფიდენციალური წყაროდან. ასევე მიუთითა, რომ ინფორმაცია მისი მხრიდან გადამოწმდა პირადი კონტაქტებითა და მის ხელთ არსებული ოფიციალური საინფორმაციო ბაზებიდან. მისივე გადმოცემით, ინფორმაციის მიმწოდებელი პირი იყო პირადი კონტაქტი, რომელსაც წლების განმავლობაში არაერთხელ მიუწოდებია სანდო ინფორმაცია.

საქმის მასალების მიხედვით, [redacted] პირადი ჩხრეკა მიმდინარეობდა 23:05-23:25 საათის ინტერვალში, რის შემდეგაც მოხდა მისი დაკავება 23:26 საათზე.

საქმეში დევს 2024 წლის 7 დეკემბრის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პირადი ჩხრეკის წარმოების შესახებ და ამავე თარიღის პირადი ჩხრეკის ოქმი. [2] პირადი ჩხრეკის ოქმში მითითებულია, რომ „პოლიციელების მისვლისას [redacted] შეეცადა გაქცევას, რის გამოც ის იქნა შეჩერებული ორი დეტექტივის მიერ. მას არ სურდა, რომ ჩატარებულიყო მისი პირადი ჩხრეკა და ჩხრეკის პროცესი მიმდინარეობდა იძულებით, როდესაც მისგან ამოღებულ იქნა ერთი ...[3] ის დამშვიდდა". ჩხრეკის ოქმის მიხედვით, ქურთუკის მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა მოლურჯო წებოვან ლენტში გახვეული ნივთიერება. ასევე შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა მობილური ტელეფონი, რაც მოთავსდა და დაილუქა პაკეტში.

ოქმის თანახმად, პირადი ჩხრეკის მონაწილენი არიან [redacted] ჩხრეკის ჩამტარებელი და ოქმის შემდგენი პირი კი არის [redacted] სასამართლოს განჩინებით, ჩხრეკა და ამოღება კანონიერად იქნა ცნობილი.

ამავე დღეს მოხდა [redacted] საცხოვრებელი ბინის ჩხრეკაც, სადაც რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან ნივთიერება ნანახი და ამოღებული არ იქნა.

ჩვენებები და დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები

[redacted] გამოკითხვის ოქმის მიხედვით,[4] 2024 წლის 7 დეკემბერს, დაახლოებით, 23:00 საათზე გამოვიდა თავისი საცხოვრებელი კორპუსიდან (ი. პეტრიწის ქუჩა N7) და მიდიოდა საპროტესტო აქციაზე თავისუფლების მოედნის ტერიტორიაზე, ხოლო სოციალური ქსელის, „ინსტაგრამის" მეშვეობით, მეგობრებს ესაუბრებოდა მობილურ ტელეფონზე. თან ჰქონდა ე. წ. კასტეტი, სათვალე, აირწინაღი. გამოსვლიდან რამდენიმე წამში ისე, რომ დანახვაც ვერ მოასწრო, ორმა პირმა გაუკეთა ხელკავი და გადაიყვანეს გზიდან იქვე, ზოომაღაზიასთან ახლოს, ტელეფონი მაშინვე გამოართვეს ხელიდან, რამდენიმე წამში კი 10-12 პოლიციელის ალყაში აღმოჩნდა.

ამავე ოქმის თანახმად, მისგან ამოიღეს აირწინაღი, სათვალე და კასტეტი. ასევე, ჩანთა, პირადი ნივთებით (პლასტიკური ბარათები, პირადობის მოწმობები, სახლის გასაღები, სახლის გასაღები ჩიპი), თუმცა არ ასახეს ჩხრეკის ოქმში და დამალეს. [redacted] განმარტებით, მობილური ტელეფონი არ დაულუქავთ ადგილზე. ერთ-ერთმა პოლიციელმა ქურთუკის ჯიბეში ხელი ჩაუყო და დაიძახა: „აბა ეს რა არის ბიჭო", [redacted] მას რომ შეხედა, ხელში ეჭირა ლურჯ „იზოლენტაშემოხვეული" საგანი, რომელიც, მოგვიანებით, აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება. [redacted] თქმით, მას ჯიბეში არაფერი ჰქონდა და ნარკოტიკულ საშუალებებთან ძეხება არასოდეს ჰქონია, შესაბამისად, ამგვარ ნივთიერებას მისგან ვერ ამოიღებდნენ. მისი მოსაზრებით, დაკავება ემსახურება საპროტესტო აქციებზე სიარულის გამო დასჯის მიზანს.

[redacted] გადმოცემით, პირადი ჩხრეკის მიმდინარეობის დროს, ერთ-ერთმა პოლიციელმა ჰკითხა, თუ ატარებდა ბრეკეტებს. მან დაუდასტურა და აჩვენა კბილებზე გაკეთებული ბრეკეტი. ხსენებულმა პირმა კი, რომელსაც ეკეთა ხელთათმანები, ხელის თითი გამოუსვა პირის ღრუში.

[redacted] თქმით, არ უცდია გაქცევა ან წინააღმდეგობის გაწევა. მობილური ტელეფონი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან კი არ ამოუღეს, ხელიდან წაართვეს. ოქმებს კი შიშით და დაბნეულობით მოაწერა ხელი, რადგან აჩქარებდნენ. როგორც კი ჩხრეკა დაიწყეს, ხელებზე ხელბორკილი დაადეს.

მისივე თქმით, თავად ითხოვდა ნარკოლოგიური შემოწმებისათვის გადაყვანას, მაგრამ უარი უთხრეს. საქმეში მოიპოვება ერთი გამომძიებლის მიერ ხელმოწერილი ოქმი, თითქოს მან უარი განაცხადა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანაზე, რაც არის სიცრუე.

[redacted] ასევე გამოკითხვის ოქმებში აღნიშნავს, რომ დაკავების შემდეგ, როდესაც გადაიყვანეს ორთაჭალაში პოლიციის სამმართველოში, ერთ-ერთი მისთვის უცნობი პოლიციელი მასთან მივიდა და მიუტანა [redacted] ტელეფონი და უთხრა, რომ კოდი ეთქვა. [redacted] თქმით, კოდი არ უთქვამს, თუმცა ტელეფონში თვითონვე შეიყვანა. ხოლო როდესაც დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყავდათ, ავტომანქანაში მყოფ [redacted] დაუკავშირდნენ და [redacted] კვლავ მოსთხოვეს კოდი, რის შემდეგაც უთხრა. აღნიშნულის შემდეგ, არ იცის, რა სახის და მოცულობის ინფორმაცია დათვალიერდა პოლიციელების მიერ.

2025 წლის 20 იანვარს გამოიკითხა [redacted] რომელმაც მიუთითა, რომ გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში პირადი ჩხრეკის თაობაზე დადგენილებას [redacted] გაეცნო და ხელი მოაწერა, ხოლო როდესაც ჩხრეკა დაიწყო, წინააღმდეგობის გაწევასა და თავის დაღწევას და გაქცევას შეეცადა, რის გამოც იძულებული

გახდნენ პროპორციული ძალის გამოყენებით ის შეებოჭათ და ჩხრეკა ჩაეტარებინათ. გამოკითხვის ოქმში არ არის დასმული კითხვა, ხდებოდა თუ არა პირადი ჩხრეკის ვიდეოგადაღება ან უარყოფით შემთხვევაში, რატომ არ ხდებოდა პროცესის ვიდეოგადაღება, რატომ არ მოხდა ნეიტრალური მტკიცებულების უზრუნველყოფის მიზნით რომელიმე გამვლელისათვის დამსწრედ ყოფნაზე მითითება.

საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ დაცვის მხარე შეეცადა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ნარკოტიკული საშუალებებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს სამეთვალყურეო კამერების ვიდეოჩანაწერების დაარქივებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან კი ეცნობა, რომ ამ სამმართველოში ვიდეოსამეთვალყურეო კამერები განთავსებული არ არის.[5]

დაცვის მხარემ 24 დეკემბერს გამოკითხა [redacted]. მისი გადმოცემით, 7 დეკემბერს [redacted] ვიდეოზარის საშუალებით ესაუბრებოდა „ინსტაგრამზე". როგორც კი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს კარიდან გავიდა [redacted] მოულოდნელად, ისე, რომ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო, კადრი გაითიშა. არც დამშვიდობებია, [redacted] კი მაშინვე მისწერა, სად წახვედიო. შემდეგ სცადა ტელეფონზე დაკავშირება, თუმცა არ გადიოდა ზარი. 8 დეკემბრის 03:28 საათზე კი ჩანდა, რომ „ფეისბუქზე" 1 საათით ადრე აქტიური იყო. საქმის მასალებში წარმოდგენილია [redacted] დედის მესიჯი და მის მიერ [redacted] გამოგზავნილი ე.წ. „სქრინშოტი", სადაც მითითებულია, რომ [redacted] „მესენჯერში" აქტიური სტატუსი უფიქსირდებოდა მას შემდეგ, რაც დაკავებული იყო და ტელეფონიც ჩამორთმეული ჰქონდა.

2025 წლის 5 იანვარს დაცვის მხარემ გამოკითხა [redacted] რომელიც არის [redacted] მეგობარი. მისი თქმით, 2024 წლის 7 დეკემბერს იმყოფებოდა სახლში, რა დროსაც მეგობარმა, [redacted] 23:03 საათზე „ინსტაგრამის" საშუალებით მისწერა, რომ [redacted] ვერ უკავშირდებოდა. მისი თქმით, გადაწყვიტა, რომ მისულიყო [redacted] საცხოვრებელ კორპუსთან, სადაც გაემართა [redacted] ერთად. როდესაც მის კორპუსთან მივიდნენ, დაინახეს შავ ქურთუკში ჩაცმული 15-ძდე ადამიანი და მათ გარემოცვაში იმყოფებოდა [redacted] კორპუსის კუთხეში გაჩერებული იყო თეთრი „მკოდა" დაბურული შუშებით. ისინი გაჩერდნენ „მკოდასთან" და საუბრობდნენ, რა დროსაც [redacted] მყოფი პირებიდან ერთ-ერთი წამოვიდა მანქანისკენ და უთხრა, ნუ ნერვიულობთ, გავჩხრეკთ, წავიყვანთ სამმართველოში, დავკითხავთ და საათნახევარში თვითონ დაგირეკავთო. [redacted], ვიდეოგადაღებას არავინ აწარმოებდა.

[redacted] თქმით, იმ ღამით აქტიურად ამოწმებდა „მესენჯერს", სადაც 3:28 სთ-ზე შესვლის დროს აღმოაჩინა, რომ ერთი საათით ადრე [redacted] ანგარიშს უფიქსირდებოდა აქტიური სტატუსი.

5 იანვრის გამოკითხვის ოქმში [redacted] ადასტურებს, რომ 7 დეკემბრის ღამეს, როდესაც [redacted] ერთად იმყოფებოდა [redacted] საცხოვრებელ კორპუსთან, 15-ძდე ადამიანის გარემოცვაში დაინახა თავგადახოტრილი პიროვნება, რომელზეც [redacted] უთხრა, რომ იყო [redacted] კორპუსის კუთხეში გაჩერებული იყო თეთრი „მკოდა", ხოლო ანალოგიური მანქანა [redacted] საცხოვრებელი კორპუსის ახლოს ჩიხშიც შეამჩნია. ასევე ადასტურებს, რომ ერთ-ერთი პირი მივიდა მათთან და უთხრა, ნუ ნერვიულობთ, საათნახევარში გამოუშვებენო. [redacted] თქმით, ვერ დაინახეს, [redacted] რომელ მანქანაში ჩასვეს, თუმცა, ერთდროულად, დაახლოებით 4-5 მანქანა დაიძრა და არც შუქნიშანზე გაჩერდნენ, რის გამოც შეუძლებელი გახდა უკან გაყოლა.

დაცვის მხარემ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ასევე გამოითხოვა იმ ზოომაღაზიის ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც ხდებოდა [redacted] გაჩხრეკა, თუმცა ვიდეოჩანაწერებში არ აღმოჩნდა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების ამსახველი კადრები, კერძოდ, არ ჩანს [redacted] პირადი ჩხრეკა ან მასში მონაწილე პირები.[6]

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კანონმდებლობა და საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი [უნდა ემყარებოდეს] უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ".[7]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და

დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“.[8]

დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.[9] საპროცესო კოდექსი დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნევს იმ მტკიცებულებას, რომელიც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე იქნა მოპოვებული, თუნდაც კანონით დადგენილი წესით, მაგრამ აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას.[10] შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ის მტკიცებულებები, რომელთა მოპოვების დროს არსებითად იქნა დარღვეული მოქმედი კანონმდებლობის ნორმები, არ არის უარყოფილი ეჭვი მათი გამოცვლის, ნიშან-თვისებების შეცვლის ან მათზე არსებული კვალის შესახებ და, ასევე, ასეთი მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმის ის ნორმატიული შინაარსი,[11] რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[12]

საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად საეჭვო მტკიცებულებათა კატეგორიას არ მიაკუთვნა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებები,[13] თუმცა განმარტა, რომ აღნიშნული არ გულისხმობს, „რომ პოლიციელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია ადეკვატური შემოწმების გარეშე იმთავითვე სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს“.[14]

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სრულიად არ არის გამორიცხული პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქმედება და ჰიპოთეტურად, შესაძლებელია, მართლაც ჰქონდეს ადგილი კანონსაწინააღმდეგო ნივთის „ჩადებას“. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარების ადგილზე მყოფი ყველა პოლიციელი გამოძიებას მისცემს ერთხაირ ჩვენებას და თუ არ იქნება სხვა მტკიცებულება, რაც დაადასტურებს ან უარყოფს, რომ ნივთს ფლობდა თუ არა ბრალდებული, ბრალდებულს არ რჩება ბერკეტი წარადგინოს თავისი სიმართლის დამამტკიცებელი მტკიცებულებები და ზეგავლენა მოახდინოს საქმის შედეგზე.[15]

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სწორედ „ბრალდების მხარის ვალდებულებაა, გამოიყენოს კანონიერი საშუალებები იმისთვის, რომ გაამყაროს ჩხრეკა/ამოღების ფაქტისადმი სანდოობა“.[16]

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, **„როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს“**.[17] ასეთ შესაძლებლობად, საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, მაგალითად, ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღების შესაძლებლობაზე ბრალდების პოზიციის გასამყარებლად, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, თუნდაც მობილური ტელეფონის მეშვეობით.[18]

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, *თუ ჩხრეკა ან ამოღება ანონიმური შეტყობინების ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საიდუმლო თანამშრომლისგან (კონფიდენტისგან)/ინფორმაციის მიმწოდებელი წყაროსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ამ კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ან მე-5 ნაწილით*

დადგენილი წესით ჩატარდა და ამოღებულ იქნა უკანონო საგანი, ნივთი ან ნივთიერება, აღნიშნული გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად შეიძლება დაედოს იმ შემთხვევაში, თუ უკანონო საგნის, ნივთის ან ნივთიერების ***პირის მფლობელობაში ყოფნა,*** *აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი გამომძიებლის ჩვენების, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე გამომძიებლის ჩვენების, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე, ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციის მქონე პირის ჩვენებისა და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმის გარდა,* ***სხვა მტკიცებულებითაც დასტურდება.*** *ეს წესი არ გამოიყენება, როდესაც სხვა მტკიცებულების მოპოვება/წარდგენა ობიექტურად შეუძლებელია.*[19]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ნეიტრალური მტკიცებულების შექმნის ვალდებულებას სახელმწიფოს ცალსახად აკისრებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი. ევროპული სასამართლო საკმარისად არ მიიჩნევს მხოლოდ ორი პოლიციელის განმარტებას და **სახელმწიფოს ავალდებულებს სადავო ინფორმაციის გადამოწმებას გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად.**[20] დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო არასარწმუნოდ მიიჩნევს გამოძიებას, რომლის დასკვნები მხოლოდ მოწმე პოლიციელთა ჩვენებებს ეყრდნობა და განმარტავს, რომ სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ რატომ არ მოხდა სხვა თვითმხილველი პირების დაკითხვა, რათა ამ გზით გამყარებულიყო მოწმე პოლიციელთა ჩვენება.[21] სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფომ უნდა მოიძიოს ნეიტრალური მტკიცებულებები, რადგან პოლიციის ოფიცერთა ჩვენებები შეიძლება თავდაცვითი ხასიათის იყოს[22] ან ეყრდნობოდეს სუბიექტურ გარემოებებს.[23]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მიმართ განხილულ პრეცედენტულ საქმეში განმარტა, რომ *შიდა სასამართლოების მხრიდან გასარკვევი დარჩა, იყო თუ არა ჩხრეკის შედეგად მოპოვებული ფიზიკური მტკიცებულებები დადასტურებული სხვა წყაროებიდან მიღებული მტკიცებულებებით. სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალებში არც ერთი სხვა მტკიცებულება, ჩხრეკის ოქმის არარსებობის შემთხვევაში, არ იყო საკმარისად ძლიერი. კერძოდ, პოლიციის წარმომადგენლების მიერ მიცემული ჩვენებები საფუძვლად დაედო განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეს, ამასთან, შეიქმნა იმ ორგანოს მიერ, რომელმაც დაიწყო სამართალწარმოება და დაინტერესებული იყო დევნის შედეგით. მიუხედავად ამისა, შიდა სასამართლოების მიერ პოლიციის წარმომადგენლების ჩვენება ავტომატურად იქნა აღქმული, როგორც ობიექტური და სანდო, ყოველგვარი მნიშვნელოვანი მცდელობის გარეშე, აღმოეფხვრათ წინააღმდეგობები. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა სამართლიანი სასამართლო.*[24]

ნეიტრალურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მართებული სასამართლო პრაქტიკა ასევე გვხვდება საერთო სასამართლოების მიერ განხილულ სისხლის სამართლის ზოგიერთ საქმეში. მაგალითად, ჯერ კიდევ წლების წინ განხილულ ერთ-ერთ საქმეში მოსამართლემ იმსჯელა ჩხრეკის სტანდარტზე, სადაც პრობლემურად არის მიჩნეული ჩხრეკის ჩატარების დროს გარეშე პირის არდასწრება მაშინ, როდესაც ამის საშუალება არსებობს და ასევე, ყურადღება გამახვილებულია ჩხრეკის ჩატარების დროს თუნდაც პოლიციის თანამშრომელთა პირადი მობილური ტელეფონით ვიდეოგადაღების საჭიროებაზე.[25] მსგავსი მსჯელობა და გადაწყვეტილება საერთო სასამართლოებს სხვა არაერთ საქმეზე აქვთ მიღებული.

წინამდებარე საქმის ანალიზი

ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, რომ [redacted] ბრალდება სრულიად ეფუძნება პოლიციელთა მიერ შედგენილ დოკუმენტებსა და მათ მიერ მიცემულ ჩვენებებს და საქმეში არ მოიპოვება სხვა, ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს ნარკოტიკული ნივთიერების [redacted] მფლობელობაში ყოფნაზე.

მოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ პატაკის ავტორის გამოკითხვიდან ჩხრეკის ჩატარების დაწყებამდე, დაახლოებით, 2.5 საათი იყო გასული. ღონისძიების დაგეგმვამდე სამართალდამცავებს ევალებათ, რომ თავად განსაზღვრონ თანამშრომელთა ის რაოდენობა და შესაბამისი რესურსი, რომელიც საკმარისი იქნება ღონისძიების ეფექტიანად ჩასატარებლად, გასაჩხრეკად და ნეიტრალური მტკიცებულების შექმნის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ერთმანეთს არსებითად ეწინააღმდეგება. მაგალითად, ჩხრეკის

ოქმის მიხედვით, ჩხრეკას ესწრებოდა სულ სამი ადამიანი, ხოლო თავად [redacted] მიუთითებს, რომ ჩხრეკას ესწრებოდა 10-12 ადამიანი. [redacted] მიუთითებენ, რომ როდესაც მივიდნენ [redacted] საცხოვრებელ კორპუსთან, იგი იმყოფებოდა დაახლოებით 15 მუქ ფერში ჩაცმული პირის გარემოცვაში. ამ საკითხთან მიმართებაში საგულისხმოა ისიც, რომ დაცვის მხარემ სცადა პოლიციის სამმართველოს შენობაში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების მოპოვება, რითიც, სავარაუდოდ, დადგინდებოდა [redacted] თანმხლები პოლიციელების რაოდენობა, თუმცა, პოლიციის სამმართველოს შენობაში ვიდეოკამერები არ აღმოჩნდა.

ბრალდების მხარეს არცერთი ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება არ უცდია. გამოკითხულია [redacted] თუმცა გამოკითხვის ოქმში არ ფიქსირდება რაიმე მითითება იმასთან დაკავშირებით, ხდებოდა თუ არა ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღება, უარყოფით შემთხვევაში, რატომ არ ხდებოდა; ან შესაძლებელი იყო თუ არა რომელიმე გამვლელი პირის დამსწრედ მოწვევა, რომელიც დააკვირდებოდა ჩხრეკის პროცესს.

მართალია ჩხრეკის ოქმში მითითებულია, რომ თავდაპირველად, [redacted] წინააღმდეგობის გაწევა და გაქცევა სცადა, თუმცა შესაძლებელი იყო იმ რაოდენობის პოლიციელის მობილიზება, რაც შესაძლებელს გახდიდა ამ მტკიცებულების შექმნას და ეს პასუხისმგებლობა სწორედ სამართალდამცავ ორგანოს ეკისრება. ბრალდება ემყარება მხოლოდ პოლიციელების მიერ შევსებულ დოკუმენტებსა და მათ ჩვენებებს. მტკიცებულება, რომელიც სხვა ფორმით მიანიშნებს ნარკოტიკული საშუალების [redacted] მფლობელობაში ყოფნაზე, საქმეში არ არსებობს.

საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც უკვე აღინიშნა, მიუთითებს, რომ პოლიციელების ჩვენება თავისთავად არასარწმუნოდ მიჩნეული არ უნდა იყოს, თუმცა გამყარებული უნდა იყოს სხვა სახის მტკიცებულებებით, როდესაც ამ მტკიცებულებათა მოპოვება ობიექტურად შესაძლებელია. თანამედროვე ტექნოლოგიის პირობებში, ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღება, თუნდაც მობილური ტელეფონით, ნების არსებობის პირობებში არ წარმოადგენს ქმედებას, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას, რესურსს ან ძალისხმევას. ბრალდების მხარეს თავად ევალება, რომ უზრუნველყოს ისეთი მტკიცებულების არსებობა, რომელიც მეტ სანდოობას შესძენს ჩხრეკის პროცესს. პოლიციელებს თავად ევალებათ, რომ მიიღონ ყველა გონივრული ზომა, რომ შექმნან ნეიტრალური მტკიცებულები, მათ შორის, პოტენციური წინააღმდეგობის საფრთხის დაზღვევისათვის, შესაბამისი რაოდენობის პოლიციელის მობილიზების სახით.

წარმოდგენილ დოკუმენტებში, საგამოძიებო უწყების მიერ არ არის დათვალიერებული მიმდებარე ტერიტორია, რითაც დადასტურდებოდა ან გამოირიცხებოდა ვიდეოკამერების არსებობა. ვიდეოჩანაწერი, როგორც ნეიტრალური მტკიცებულება განსაკუთრებულ და გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, როცა პოლიციელების და ბრალდებულის ჩვენებები/პოზიცია რადიკალურად განსხვავდება ნივთის ფლობის საკითხთან დაკავშირებით.

ამრიგად, გამოძიებას არ უცდია მოეპოვებინა ნეიტრალური მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა პირადი ჩხრეკისა და დაკავების გარემოებების შესახებ პოლიციელების ჩვენებებში აღწერილ ვითარებას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ [redacted] ტელეფონის ამოღებასთან დაკავშირებით იკვეთება ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია. კერძოდ, ჩხრეკის ოქმში აღნიშნულია, რომ ტელეფონის ამოღება შარვლის ჯიბიდან მოხდა. ხოლო [redacted] მიუთითებს, რომ ტელეფონი ხელიდან წაართვეს. ამასთანავე, [redacted] ადასტურებს, რომ როდესაც [redacted] მას ვიდეოზარის საშუალებით ესაუბრებოდა და სადარბაზოდან გავიდა, ზარი უცებ შეწყდა ისე, რომ დამშვიდობებაც ვერ მოასწრო. აღნიშნული გარემოება დამატებით ეჭვებს აჩენს პოლიციელთა მხრიდან შევსებული დოკუმენტების სანდოობის მიმართ.

გარდა ამისა, გამოძიებას არ დაუდგენია, საცხოვრებელ კორპუსთან, დასახლებულ ადგილას, სადაც, სავარაუდოდ, დღე-ღამის განმავლობაში გადაადგილდებიან მოქალაქეები, შეესწრნენ თუ არა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ნეიტრალური პირები და ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ გამოუკითხავს ისინი ჩხრეკის ჩატარების გარემოებებთან დაკავშირებით.

შესაბამისად, გამოძიების მიმდინარეობისას ბრალდების მხარეს არ უცდია, მოეპოვებინა [redacted] პირადი ჩხრეკის ამსახველი ნეიტრალური მტკიცებულება, რაც ობიექტურ დამკვირვებელს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში და საკმარისად შეიჩნია მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პოლიციელების ჩვენებები.

ამრიგად, ბრალდების მხარემ, ობიექტური შესაძლებლობის მიუხედავად, არ უზრუნველყო ნეიტრალური მტკიცებულების, მათ შორის, ვიდეოჩანაწერის მოპოვება. გარდა ამისა,

გამოძიებას არც საგამოძიებო მოქმედების - [redacted] პირადი ჩხრეკის დასრულების შემდეგ არ უცდია დაკავების ადგილზე არსებული ობიექტებიდან მოეპოვებინა ვიდეოჩანაწერები ან/და დაედგინა დაკავების ფაქტის შემსწრე ნეიტრალური პირები და გამოეკითხა ისინი. ხოლო დაცვის მხარის მცდელობის მიუხედავად, ნეიტრალური მტკიცებულებები ვერ იქნა მოპოვებული, რითიც ხელი შეეშალათ დაცვის პოზიციის დადასტურებაში. შედეგად, [redacted] ბრალდება დაეფუძნა მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებს და მათ მიერ ნარმოებულ დოკუმენტებს იმ პირობებში, როდესაც არსებობდა ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა. აღნიშნული კი კანონმდებლობის მოთხოვნებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

დასკვნა

სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმის განხილვასა და მოცემული საკითხის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა გააჩნია პოლიციის მხრიდან ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულების შესრულების დამკვიდრებაში, რასთან დაკავშირებითაც უკვე იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ. სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების პროცესში ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება უზრუნველყოფს საკმარისი მტკიცებულების წარდგენას და მნიშვნელოვნად შეამცირებს თვითნებობის რისკებს. ჩხრეკის მიმდინარეობის კანონიერების ნეიტრალური მტკიცებულებით დადასტურების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით პირთა დამნაშავედ ცნობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ იმსჯელოს ნეიტრალური მტკიცებულებების ყველა შესაძლო შემთხვევაში მოპოვების მნიშვნელობაზე პირის დამნაშავედ ცნობისთვის, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების საკითხი წარმოადგენს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ვიმედოვნებ, წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტაცია სასამართლოს განსახილველი საკითხების სათანადო შეფასებაში დაეხმარება.

დამატებით, გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას [redacted] სისხლის სამართლის ბრალდების საქმის განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

---

[1] 2025 წლის 7 აპრილის მდგომარეობით.

[2] ოქმში მითითებულია, რომ ჩხრეკა ჩატარდა ქ. თბილისში, [redacted] მიმდებარე ტერიტორიაზე.

[3] სიტყვა არ იკითხება.

[4] დაცვის მხარის მიერ შედგენილი 2024 წლის 13 და 20 დეკემბრის გამოკითხვის ოქმები.

[5] შსს-ის 2024 წლის 30 დეკემბრის წერილი.

[6] 2025 წლის 21 იანვრის დათვალიერების ოქმი.

[7] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პუნქტი 7.

[8] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13, ნაწილი 2.

[9] იქვე, მუხლი 72. ნაწილი 6.

[10] იქვე, მუხლი 72, ნაწილი 1.

[11] იქვე, მუხლი 13, ნაწილი 2, მე-2 წინადადება.

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III, §1ა.

[13] იქვე, §101.

[14] იქვე, §102.

[15] იქვე, §104.

[16] იქვე, §105.

[17] იქვე, §106.

[18] იქვე, §107, 108.

[19] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13, ნაწილი 3.

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ვირაბიანი (Virabyan) სომხეთის წინააღმდეგ", 40094/05, § N224, 2012წ.

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „ოჩელკოვი (Ochelkov) რუსეთის წინააღმდეგ", 17828/05, § N123, 2013წ.

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „ბარაბანშიკოვი (Barabanshchikov) რუსეთის წინააღმდეგ", § N61, 36220/02, 2009.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მიქიაშვილი (Mikiashvili) საქართველოს წინააღმდეგ", 18996/06, § N82, 2012.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „კალანდია (Kalandia) საქართველოს წინააღმდეგ", 57255/10, § N43, 44, 2021.

[25] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N1/3447–15 განაჩენი.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი